საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7196
25/11/2022

7196-21-2-202211251633

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“
მის: ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ. №24
ელ. ფოსტა: info@sgp.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4821 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. სამტრედიაში, ბახტაძის ქ. №23-ში 32300 $მ^3$ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტის თანახმად, „შემოზვინვის აღმოსავლეთის კედლის ადგილმდებარეობის შეცვლა - გადაიწევს დასავლეთით, რის გამოც შესაბამისად მოხდება რეზერვუარების ადგილმონაცვლეობა, რომელიც წარმოდგენილია საწარმოს გენ-გეგმაზე. აღნიშნული ცვლილების სათანადო ჩანაწერი დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში მოცემული არ არის;
- სკრინინგის განცხადების თავში 5.4.2-ში მოცემული ინფორმაციის თანახმად, რკინიგზის ტერიტორიაზე, სარეზერვუარო პარკში და ავტოცისტერნებში საწვავის მიმღებ/გამცემ ესტაკადებზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩაედინება მიწისქვეშა მილით სალექარში, ნავთობდამჭერში და შემდეგ საწარმოს ჩრდილოეთით არსებულ სანიაღვრე არხში. თუმცა, 5.4.3-ში თავში მითითებული ინფორმაციის თანახმად, „თითოეულ უბანზე წარმოშობილი სანიაღვრე-ჩამდინარე წყლის ჩადინება, მოხდება მიწისქვეშა მილებით შლამსაცავში, სადაც ადგილი აქვს შლამის დალექვას, ხოლო შემდგომ ჩაედინება ფილტრ-სეპარატორში, საიდანაც გაწმენდილი წყალი მოხვდება საწარმოს ჩრდილოეთით მდებარე სანიაღვრე არხში“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას; ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც დატანილი იქნება საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების სისტემა (გამწმენდ ნაგებობებთან ერთად), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა არ შეესაბამება 2019 წლის გზშ-ის ანგარიშში მოცემულ მონაცემებს, შესაბამისად დაზუსტებას და გადამუშავებას მოითხოვს საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობების გაანგარიშების საკითხი. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკეული უბნების ფართობისა და ამ

ფართობზე მოსული ნალექების რაოდენობის გათვალისწინებით გაანგარიშებული სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობრივი მაჩვენებლები;

- სკრინინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, რეზერვუარების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნალექი განთავსდება საშრობ აბაზანაში. ამასთან, 6.6 თავში აღნიშნულია, რომ რეზერვუარების რეცხვის შედეგად წარმოქმნილი შლამი მოგროვდება შლამსაცავში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საშრობ აბაზანაში შლამის/ნალექის განთავსების საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სანიაღვრე-ჩამდინარე წყლის ჩადინება მოხდება საწარმოს ჩრდილოეთით მდებარე სანიაღვრე არხში. განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული არხის მესაკუთრის და მასთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;
- თავი 5.4.4-ში მოცემულია, რომ „ხანძრის წარმოშობის შემთხვევაში რეზერვუარების კედლების გაცივებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა განხილულია პარაგრაფში 6.2.4“. თუმცა, აღნიშნულ 6.2.4-ში მოცემულია „ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი“. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტის თანახმად, „განსახილველი ობიექტის მიმდებარედ სამრეწველო საწარმოები არ ფუნქციონირებს“. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ ფუნქციონირებს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ნავთობპროდუქტების საცავი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში შეფასებული უნდა იქნეს საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო